თათია უშიკიშვილი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი, საფრანგეთი

,,Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, ლილში გატარებული დრო, ჩემი აკადემიური და პიროვნული განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო. საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სტუდენტისთვის, ეს გაცვლითი პროგრამა განსაკუთრებული შესაძლებლობა იყო, ჩავრთულიყავი ინტელექტუალურად დამუხტულ გარემოში და ამავდროულად, გამეცნო და სიღრმისეულად შემესწავლა ევროპის კულტურულად მდიდარი ქალაქი. ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის აღიარებული პროფესორებისა და მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე სტუდენტების გარემოში მოხვედრამ შეცვალა ჩემი შეხედულებები და გააღრმავა ცოდნა გლობალური დიპლომატიური თუ პოლიტიკური საკითხების შესახებ.

ლექციების მიღმა, ლილში გატარებული დრო იყო პიროვნული ზრდისა და განვითარების პერიოდი. ქალაქის მდიდარი კულტურული ცხოვრება და ისტორიული სილამაზე მუდმივად ახალი აღმოჩენების შესაძლებლობას მაძლევდა. დამოუკიდებლად ცხოვრება უცხო ქვეყანაში დამეხმარა დამოუკიდებლად პრობლემების გადაჭრის უნარების გაძლიერებაში. ყოველდღიური გამოწვევების, ადმინისტრაციული საქმეებისა და კულტურული თავისებურებების გადალახვამ, განმივითარა ადაპტაციის უნარი, რომელიც დიპლომატისთვის აუცილებელია. გარდა ამისა, უცხო გარემო დამეხმარა გამოვსულიყავი კომფორტის ზონიდან, რამაც, თავის მხრივ, უზრუნველყო საქართველოში დავბრუნებულიყავი მეტად თავდაჯერებული და ამასთანავე, გამდიდრებული იმ ცოდნითა და გამოცდილებით, რაც ჩემი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესმა პერიოდმა მომცა.

საბოლოოდ, ერასმუსის პროგრამა ჩემთვის გაცვლით პროგრამაზე მეტი აღმოჩნდა. ეს იყო აღმოჩენებისა და პიროვნული ზრდის გზა, რომელმაც ჩემს აკადემიურ და კარიერულ მიმართულებას მნიშვნელოვანი გარდატეხა შესძინა. არსებული გამოცდილება, გამოწვევები და მოგონებები ჩემთვის მუდმივი შთაგონების წყარო იქნება საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის გზაზე.''